

გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი N 6

ქ.გორი

27.01.2023 წ.

2022 წლის 27 იანვარს გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მეექვსე სხდომა გაიმართა.

შეხვედრა ჩატარდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის დარბაზში. შეხვედრის დაწყების დრო 15:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ახალგაზრდები - თავისუფალი დამსწრეები.

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. დარეჯან მურადაშვილი
2. ზაურ საგანელიძე
3. მალხაზ გოჩაშვილი
4. ნინო გიორგაძე
5. იაკობ მაღალაშვილი
6. ბექა ტატალაშვილი
7. თამარ კაპანაძე

დღის წესრიგი:

- I. მრჩეველთა საბჭოს მიერ გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენილი რეკომენდაციებზე მიღებული უკუკავშირის გაცნობა/განხილვა;
- II. საბჭოს ეფექტურად მუშაობის საჭიროებები
- III. მოსახლეობისაგან შემოსული ინიციატივებისა და გამოწვევების გაცნობა/განხილვა
- IV. გორის საპატიო მოქალაქის შერჩევის კრიტერიუმები.

მომხსენებელი: მრჩეველთა საბჭოს მდივანი - თამარ კაპანაძე

მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან მურადაშვილმა, მიესალმა საბჭოს წევრებსა და თავისუფალ დამსწრეებს, მადლობა გადაუხადა შეხვედრაში მონაწილეობისათვის და გააცნო დღის წესრიგი.

I. მრჩეველთა საბჭოს მიერ გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენილი რეკომენდაციებზე მიღებული უკუკავშირის გაცნობა/განხილვა;

დარეჯან მურადაშვილი - ისაუბრა მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში წევრების დამატების საჭიროებაზე, რაც განპირობებულია იმით რომ საბჭოს რეგულარული შეხვედრების ფონზე მოქმედი წევრებიდან ყველა ვერ ახერხებს მონაწილეობას და ეს აფერხებს საბჭოს საქმიანობას.

ასევე ისაუბრა პოზიტიურ მხარეებზე, საბჭოს დებულებაში შეტანილი ცვლილების შესახებ, რაც უკავშირდება მერთან ოქმებზე და წარდგენილ რეკომენდაციებზე სწრაფი უკუკავშირის ფორმატის შემუშავებას. აღნიშნა, რომ მერის მხრიდან სწრაფად ხდება უკუკავშირი წარდგენილ რეკომენდაციებზე. რიგი საკითხების გადამისამართება მოხდა შესაბამის სამსახურებზე, რიგ საკითხებზე დაპირება გაიცა, წარდგენილი რეკომენდაციების თუ რომელ საკითხზე იმუშავებს წლის განმავლობაში მერია, ასევე თემები რომლებიც შესწავლის პროცესშია, რომელიც ვერ გაითვალისწინება და რაც უკვე განხორციელების პროცესშია.

აღმანიშნავია, რომ რეკომენდაციების ნაწილი უკვე გათვალისწინებულია. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება პერიოდულად მოხდეს შეხსენება წარდგენილი რეკომენდაციებისა

I. საბჭოს ეფექტურად მუშაობის საჭიროებები

დაინერგა გამოკითხვის მეთოდი სოციალური ქსელების მეშვეობით. საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ გამოკითხვას, რომელიც ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პრობლემებს გორის მუნიციპალიტეტში საკმაოდ დიდი გამოხმაურება და ჩართულობა ჰქონდა მოსახლეობის მხრიდან. გაზრდილია საბჭოს მიერ გამოქვეყნებული პოსტების ნახვები და მისი მუშაობით დაინტერესებული ადამიანების რიცხვი.

საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით და მოქალაქეთა მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დამატებითი რესურსების გამოყენებით დაიგეგმოს გასვლითი შეხვედრები და ტრენინგები.

საბჭოს მუშაობის ერთ ერთი ძირითადი მოვალეობაა ბიუჯეტის პროცესებში ჩართულობა. უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება გასული წლის ბიუჯეტის ანგარიში და პირველი კვარტლის სამოქმედო გეგმა.

- კარგი იქნებოდა საბჭოს წევრებისათვის ტრენინგის უზრუნველყოფა ბიუჯეტირების თემაზე.
- სასურველია ინიციატივები საბჭოს ყველა წევრის მხრიდან იყოს წარმოდგენილი.

იმისათვის, რომ საბჭოს მუშაობა იყოს ღია, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და შედეგზე ორიენტირებული, საბჭო გამოაქვეყნებს და მოსახლეობისათვის იქნება წარდგენილი საბჭოს მუშაობის ერთი წლის ანგარიში, სადაც აისახება სტატისტიკა წარდგენილი ინიციატივების, შემუშავებული რეკომენდაციებისა და მოგვარებული პრობლემების შესახებ.

მნიშვნელოვანია მოსახლეობის მხრიდან ნდობის შენარჩუნება და მათი ინიციატივებისა და პრობლემების მოტანა/მოგვარების პროცესში ჩართულობა.

III. *მოსახლეობისაგან შემოსული ინიციატივებისა და გამოწვევების გაცნობა/განხილვა*

თამარ კაპანაძე - საბჭოს წევრებს წარუდგინა სოციალურ პლატფორმაზე მოსახლეობის მხრიდან შემოსული პრობლემური საკითხები და გადაწყვეტეს მიეწოდოს ინფორმაცია მერიას და არსებული შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს აღნიშნულ საკითხებზე რეაგირება:

1.წმინდაწყლის დასახლებაში შუქნიშნის სრულყოფილად მოწესრიგება: საჭიროა შუქნიშნის დამატებითი სექციების მოწყობა უსაფრთხოებისათვის.

2.ვერხვების დასახლებაში სუბიშვილის ქუჩაზე ხუთსართულიან კორპუსებთან გამოსასვლელში შუქნიშნის მოწყობა ფეხით მოსიარულეთა და ავტომანქანების უსაფრთხოდ მოძრაობისთვის.

3. ჩოჩიშვილის ქუჩაზე მცირე მონაკვეთი სავალალო მდგომარეობაშია,რაც პირდაპირ კავშირშია ინკლუზიური გარემოს ხელმისაწვდომობასთან.

4.მრავალსართულიანი საპარკინგე ნაგებობები განტვირთავს ტროტუარებსაც და გზებსაც.გორის დაგეგმარებაც უკეთესად შეიძლება აღბათ.სურვილია მთავარი

5. ძმები რომელაშვილების ქუჩა #176 ჭალის დასახლება.საავტომობილო მოძრაობის ინტენსივობიდან და ქაოტურობიდან გამომდინარე ესაჭიროებათ სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები ე.წ. „მძინარე პოლიციელები“ საცხოვრებელ ზონაში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად.

6. იუსტიციის სახლთან მიწისქვეშა გადასასვლელის საკითხი

7.საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობის საკითხი

8. შუქნიშნების საკითხი სტალინის ქუჩაზე,პუშკინი ნინოშვილის კვეთა, ცხინვალის გზადკვეცილი

9. რუსთაველის ქუჩაზე მოძრაობის მოწესრიგება

IV. *გორის საპატოო მოქალაქის შერჩევის კრიტერიუმები.*

დაკო მურადაშვილი - საბჭოს წევრის მარიკა მღებრიშვილის ინიციატივა გააჟღერა გორის საპატოო მოქალაქის წარდგენის პროცედურების შესახებ. კარგი იქნებოდა მერიის საიტზე განთავსდეს ინფორმაცია გორის საპატოო მოქალაქეების შესახებ,რომელიც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ინფორმაცია თუ ვინ არიან გასული წლების საპატოო მოქალაქეები, მათი დამსახურების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომი იყოს საპატოო მოქალაქის შერჩევის წესი.

დამატებითი საკითხები:

ზაურ საგანელიძე - ძველ ხიდზე გაკეთდა რეკონსტრუქცია,სადაც ადრე განთავსებული იყო ბრინჯაოს ჩამოსხმული აბრა დატანილი ტექსტით.ეს არის ისტორიული ხიდი და იქნებ მერიამ აიღოს ინიციატივა,რომ ჩამოსხას იდენტური აბრა ძველი ტექსტით.რომელიც იყო მეფის რუსეთის დროს ჩამოსხმული.

იაკობ მაღალაშვილი- საბჭოს მიმართა ინიციატივით, ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების მიზნით, მერს გაეწიოს რეკომენდაცია მხარი დაუჭიროს ისეთ ინიციატივებს, რაც დაკავშირებულია ტექნოლოგიური მიმართულებით ახალგაზრდების გაძლიერებისკენ და ასევე რაიონებში ახალგაზრდული სივრცეების შექმნისკენ.

საბჭომ იმსჯელა მოსახლეობისგან და საბჭოს წევრებისგან შემოსული ინიციატივების შესახებ და გადაწყდა წარედგინოს მერს შემდეგი რეკომენდაციები:

- I. საბჭოს შემდეგ სხდომას დაესწროს მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი, რომელიც გაეცნობა მოსახლეობისგან შემოსულ გამოწვევებს ინფრასტრუქტურულ და საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- II. მერიის საიტზე განთავსდეს ინფორმაცია გორის საპატო მოქალაქეების შერჩევის წესის და უკვე არსებული საპატო მოქალაქეების შესახებ;
- III. საბჭოს ეფექტურად მუშაობის უზრუნველსაყოფად, მოხდეს საბიუჯეტო პროცესებში საბჭოს წევრების დროული ჩართულობის უზრუნველყოფა და ინფორმირება.
- IV. სამეფოს ქუჩაზე, ახლად რეაბილიტირებულ ხიდზე განთავსდეს აბრა ძველი ტექსტით, რაც უზრუნველყოფს ხიდის ძველი ისტორიის გაცოცხლებას.
- V. ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების დროს უპირატესობა მიენიჭოს ისეთ პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული სივრცეების გაჩენას და ტექნოლოგიური მიმართულებით ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარებას.

დაკო მურადაშვილი - შეაჯამა მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მეექვსე სხდომა. მაღლობა გადაუხადა სხდომის მონაწილეებსა და მომხსენებლებს აქტიური ჩართულობისათვის.

საბჭოს #6 სხდომა გაიმართება 2023 წლის თებერვლის თვეში.

საბჭომ მუშაობა დაასრულა 17 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე:

დარეჯან მურადაშვილი

